

შპს „ელექტრონი“

(ს/კ 208218132)- ს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021

წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „ელექტრონი“ (ს/კ 208218132)

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

1.ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

შპს „ელექტრონის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	37 235	6773	22200
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	581 757	151416	156008
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	148,322	22078	131803
მარაგები		5,798,090	4704892	4441130
მზა პროდუქცია			0	0
სხვა	4	5,798,090	4704892	4441130
საინვესტიციო ქონება			0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5	71,263	428289	678647
ბიოლოგიური აქტივები			0	0
თვითღირებულების მოდელით			0	0
გადაფასების მოდელით			0	0
გუდვილი			0	0

სხვა არამატერიალური აქტივები			0	0
ძირითადი საშუალებები	6	562,098	545690	592226
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები			0	0
სულ აქტივები		7,198,765	5859138	6022014
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება			0	0
სავაჭრო ვალდებულებები	7	977,831	271520	430015
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები		0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	8	36,243	37160	203420
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	9	83,395	0	320950
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
მიღებული გრანტები		0	0	0
სხვა ვალდებულებები		0	0	0

სულ ვალდებულებები		1,097,469	308680	954385
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი	10	2000	2000	2000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		5,994,093	5443255	4960426
გადაფასების რეზერვი		105,203	105203	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	105203
სულ საკუთარი კაპიტალი		6 101 296	5550458	5067629
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		7 198 765	5859138	6022014
სულ მოკლევადიანი აქტივები		6,636,667	5313448	5429788
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,097,469	271520	750965

შპს „ელექტრონი“-ს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისთვის (ლარში)

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები		2812338	2776732

საქონლის გაყიდვიდან	11	2812338	2776732
მომსახურების გაწევიდან			0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			0
სხვა			0
გაყიდვების თვითღირებულება		-1,934,441	-1930773
საწყისი მარაგები			0
მარაგების შესყიდვა			0
გადამუშავების დანახარჯები			0
საბოლოო მარაგები			0
საერთო მოგება			845959
სხვა საოპერაციო შემოსავალი			0
დასაქმებულთა ანაზღაურება	12	-174,169	-141887
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-49253	-50293
საპროცენტო შემოსავალი			0
საპროცენტო ხარჯი			-14905
იჯარის ხარჯი			0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	13	-125,459	-98751
სულ საოპერაციო ხარჯები			-305836
საოპერაციო მოგება			540123
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	14	8985	-78306
მიღებული დივიდენდები			0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	15	12,837	21012
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან			482829
მოგების გადასახადის ხარჯი			0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		550,838	482829
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			0

სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)			0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		550,838	482829
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		5,550,458	5067629
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')			0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			0
კაპიტალის სხვა ცვლილებები			0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		6,101,296	5550458

2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელექტრონი (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდი 208218132 დაარსდა 2002 წლის 16 მაისს. კომპანიის დამფუძნებელი და დირექტორი არის ჯემალ ხადური (პ/ნ 01024014485) -100%. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო,თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, გარდაბნის გზა, №48. კომპანიის საქმიანობის სახეს წარმოადგენს 47540 - საცალო ვაჭრობა ელექტრონიკული და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით.

კომპანია საქმიანობას ახორციელებს სხვადასხვა რეგიონში და აქვს მაღაზიები როგორც თბილისში, ასევე ფოთსა და ზესტაფონში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დამტკიცების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ

მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

სამუშაო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31
დეკემბერი		
აშშ დოლარი/ლარი	3.0976	3.2766
ევრო/ლარი	3.5040	4.0233
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი/ლარი	4.1737	4.4529

ამონაგების აღიარება.

ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის გაყიდვიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. კომპანია მაშინ აღიარებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი;

გადასახადები

მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იხეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით. ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე. აღრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები აღირიცხება მათი თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალით.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდით შემდეგი პროცენტული მაჩვენებლებით:

ძირითადი საშუალებები (გარდა შენობა-ნაგებობისა) 20%

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა 5%

არამატერიალური აქტივები 1-10 წელი

შენობა- ნაგებობა- 50 წელი

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად,

თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. სავაჭრო ვალდებულებები სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

სავაჭრო მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელიც წარმოშობილია საქონლის რეალიზაციიდან, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

1.ფული და ფულის ეკვივალენტები

	2021	2020	2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	37235	6773	22200

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში და ფულს სალაროში.

2. სავაჭრო მოთხოვნები

	2021	2020	2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	581757	151416	156008

კომპანიას აქვს დებიტორული დავალიანებები კომპანიებთან, რომლებიც ძირითადად სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენენ.

3. ავანსები

	2021	2020	2019
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	148322	22078	131803

კომპანია საქონელს ყიდულობს უცხოური საწარმოსგან და ახორციელებს იმპორტს და 31 დეკემბრის მდგომარეობით გადარიცხული იყო საქონლის ავანსი.

4. მარაგები

	2021	2020	2019
მარაგები	5798090	4704892	4441130

კომპანია ვაჭრობს სამშენებლო ინსტრუმენტებით და საბალე ტექნიკით.

5. სხვა მოკლევადიანი აქტივები

სხვა მოკლევადიანი აქტივები	71263	428289	678647

სხვა მიმდინარე აქტივები შედგება ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი გადასახადისგან, გადახდილი საგარანტიო თანხებისგან და სხვა აქტივებისგან.

6. ძირითადი საშუალებები

	2021	2020	2019
ძირითადი საშუალებები	562098	545690	592226

7. სავაჭრო ვალდებულებები

	2021	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები	977831	271520	430015

კომპანიის ძირითადი სავაჭრო პარტნიორები წარმოადგენენ უცხოურ საწარმოებს.

8. გამოუმუშავებელი შემოსავალი

	2021	2020	2019
გამომუშავებელი შემოსავალი	36243	37160	203420

9. მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები

	2021	2020	2019
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	83395	0	320950

10. გადაფასების რეზერვი

	2021	2020	2019
გადაფასების რეზერვი	105203	105203	0

კომპანიას კაპიტალში შექმნილი აქვს რეზერვები გაუთვალისწინებელი მოვლენებისთვის.

11. ამონაგები საქონლის გაყიდვიდან

	2021	2020
საქონლის გაყიდვიდან	(2812338)	(2776732)

12. დასაქმებულთა ანაზღაურება

	2021	2020
დასაქმებულთა ანაზღაურება	(174168)	(141887)

13. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2021	2020
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(125459)	(98751)

კომუნალური ხარჯები - 19210 ლარი

დაცვის ხარჯი- 13050 ლარი

ავტომობილების შენახვის ხარჯი - 12436 ლარი

კომუნიკაციის ხარჯი- 7355 ლარი

საბანკო ხარჯი - 34475 ლარი

სხვა ხარჯი - 38933 ლარი

14. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

	2021	2020
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	8985	(78306)

15. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)

	2021	2020
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	12837	21012

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში დადასტურდა და 2021 წელსაც გაგრძელდა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსის („COVID 19“) არსებობა, რამაც მსოფლიოში ეკონომიკისა და ბიზნესსაქმიანობის შეფერხება გამოიწვია. მაკორექტირებელი მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა. მენეჯმენტის შეფასებით, COVID 19-თან დაკავშირებულ რისკებს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა არ

შეუძლია კომპანიის საქმიანობასა და მის უნარზე საქმიანობა გააგრძელოს როგორც
ფუნქციონირებადმა საწარმომ

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2022 წლის 26 სექტემბერს.

დირექტორი: ----- ჯემალ ხადური (პ/ნ 01024014485)